პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 64 (3548)

2 1968 წ. აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

გუშინწინ ბრატისლავაში გაიმართა კაუნასის „ჟალგირისა" და [illegible]კის (გდრ) „ემპორის" [illegible] ხელბურთელ ქალთა გუნდების [illegible] ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. თავდაპირველად დაწინაურდნენ გერმანელები (4:1), მაგრამ საბჭოთა ხელბურთელებმა თანდათან მოახერხეს წონასწორობის აღდგენა და ბოლოს გაიმარჯვეს კიდეც — 13:11. ეს კაუნასელთა მეორე დიდი წარმატებაა: მათ შარშანაც მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი რვაჯერ გაიმართა და აქამდე არც ერთ გუნდს ზედიზედ ორჯერ თასი არ მოუპოვებია.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: კაუნასის „ჟალგირისის" ხელბურთელთა კოლექტივი.

ფოტო მ. ოგაისა (საკდესი).



ფეხბურთი -68

სსრ კავშირის პირველობა

## 3 მატჩი

**ქუთაისში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და კიევის „დინამო". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0. გოლების ავტორები არიან ლევჩენკო (39-ე წ.) და ბიშოვეცი (66-ე წ.).

**სუმგაითში** ბაქოს „ნეფტჩის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბანიშევსკიმ 55-ე წუთზე კიროვაბადის „დინამოს" კარში გაიტანა ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი — 1:0.

**ლუგანსკში** ადგილობრივმა „ზარიამ" მიიღო მოსკოვის „დინამო", 90-წუთიანი ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 0:0.

## „უპონ პალო" — მეშახტეთა სტუმარი

ფინეთის ქალაქ ლაჰტის „უპონ პალოს" ფეხბურთელებს მორიგი მატჩი ჩვენს რესპუბლიკაში ტყიბულის „მეშახტის" სპორტსმენებთან ჰქონდათ. კვირას ქალაქის სტადიონზე თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა და საკავშირო კატეგორიის მსაჯის ნ. პანკინის (მოსკოვი) სასტვენმა თამაშის დაწყება გვაუწყა.

მასპინძლებმა სწრაფი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს და უკვე პირველსავე წუთებზე ფინელთა კართან სახიფათო მომენტები შეიქმნა. მე-7 წუთზე ქარქაშაძემ კარგად გამოიყენა აუშტროვის ზუსტი გადაცემა და 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0. ტყიბულელთა იერიში არც ამის შემდეგ შენელებულა და 30-ე წუთზე აუშტროვმა მეორე ბურთი გაიტანა ფინელთა კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და მასპინძელთა მეკარე ძიძიგურმა რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. და მაინც, 58-ე წუთზე ფინელებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა.

**ზ. ჯორჯაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ტყიბული.

## ყურადღებას გვთხოვენ

### სად ითამაშოს?!

ჩვენი გუნდი — წითელწყაროს „შირაქი" I ჯგუფის II ქვეჯგუფში თამაშობს რესპუბლიკურ პირველობაზე. კალენდარული მატჩების დაწყებას არაფერი აკლია, მაგრამ „შირაქი" ახლა ცუდ მდგომარეობაშია, ვინაიდან არ გააჩნია სათამაშო მინდორი. შარშან სტადიონი გადახნეს და მერე თავი მიანებეს.

ვეკითხებით წითელწყაროს რაიონის სპორტკავშირის მესვეურებს: ნუთუ მათ არა აქვთ საშუალება მოუარონ ფეხბურთის მინდორს?

**წითელწყაროს ფეხბურთის მოყვარულნი.**

1968 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ

## მესამე ადგილზე

ჯამბულში დამთავრდა სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში. როგორც ვიუწყებოდით, ცოტა ხნით ადრე ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდმა იოშკარ-ოლაში II საპრიზო ადგილი დაიკავა, ჯამბულში კი საქართველოს „კლასიკოსები" III ადგილს დასჯერდნენ. I ადგილი მოიპოვა რსფსრ-ს ნაკრებმა, II — უკრაინის ათლეტებმა.

სამაგიეროდ, ჯამბულში პირად შეჯიბრებაში საქართველოს წარგზავნილებმა უფრო მეტი საპრიზო ადგილი მოიპოვეს, ვიდრე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა გ. ბადაშვილმა (საშუალო წონა). II ადგილზე გავიდნენ ე. მეგრელიშვილი (მჩატე) და გ. ძიმისტარიშვილი (მსუბუქი). III ადგილები წილად ხვდათ ა. ლომაძეს (ქვესაშუალო), ნ. ძიმისტარიშვილს (ქვემძიმე) და ი. სიორიძეს (მძიმე).

## „...საკმაოდ ეფექტურად შეცვალა ქორქიამ."



ლენინგრადის სპარტაკელებთან მატჩში თბილისის დინამოელს მიხეილ ქორქიას მეტად პასუხსაგები ამოცანა დაეკისრა: მას უნდა უზრუნველეყო საკუთარი ფარის უსაფრთხოება. ქორქიამ პირნათლად გაართვა თავი სირთულეებს და დიდი წვლილი შეიტანა თანაგუნდელთა წარმატებაში.

ს უ რ ა თ ზ ე: ახალგაზრდა კალათბურთელი მ. ქორქია კრიტიკულ სიტუაციაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(მატჩის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ახალი დილემა — „დინამო" თუ ცსკა?

თბილისი. სპორტის სასახლე. 30 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 77:71 (30:31).

„დინამო": ალთაბაევი (28), ლეჟავა (8), ქორქია (8), უგრეხელიძე (12), ნარიმანიძე (4), კაზანჯიანი (2), მალალაშვილი (6), ქარაბაკი (7), მამალაძე (1), ლეონტიევი (1), ბოლქვაძე.

„სპარტაკი": ლეონოვი (9), ივანოვი (11), ფიოდოროვი (8), ბიკოვი (24), შტუკინი (2), კუტუზოვი (3), ბოლშაკოვი (2), გრიგორაშენკო (7), ბელოვი (5).

მსაჯები: ა. კიაბი, ა. კუუსკვერე (ორივე — ტალინი).

* * *

თბილისი. სპორტის სასახლე. 31 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 68:64 (34:29).

„დინამო": ალთაბაევი (11), ლეჟავა (24), ქორქია (11), უგრეხელიძე (10), ნარიმანიძე (4), ქარაბაკი (8), კაზანჯიანი, მალალაშვილი, მამალაძე.

„სპარტაკი": ლეონოვი (8), შტუკინი (10), ბიკოვი (18), ივანოვი (12), გრიგორაშენკო (6), ფიოდოროვი (6), ბოლშაკოვი (4), კუტუზოვი, ბელოვი.

მსაჯები: ა. კიაბი, ა. კუუსკვერე.

ამ ორ მატჩს პასუხი უნდა გაეცა XXXV ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ შეკითხვაზე: რამდენად რეალურია ლენინგრადის სპარტაკელთა პრეტენზიები კალათბურთის უმაღლეს ტიტულზე? და მოხდა ისე, რომ მკაცრი გამომცდელის როლი სწორედ თბილისის „დინამოს" დაეკისრა, გუნდს, რომელიც ასევე ახლოს დგას უმაღლეს წოდებასთან.

როგორც ხედავთ, ძველი სპორტული მეტოქეების ისედაც პრინციპულ ბრძოლას ახალი, კიდევ უფრო პასუხსაგები შინაარსი დაერთო და თბილისიც ერთბაშად იქცა საკალათბურთო ცხოვრების ცენტრად. ლიდერთა დავას დაესწრნენ ჩემპიონატის მთავარი მსაჯიცა და კალათბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეც, ცენტრალური პრესის წარმომადგენლებიცა და, რა თქმა უნდა, რადიოსა და ტელევიზიის დაინტერესებული მუშაკები ნევის ნაპირებიდან. მეორე მატჩის მსვლელობას ცენტრალური ტელევიზიით თვალს ადევნებდნენ მთელს ჩვენს ქვეყანაში. ერთი სიტყვით, აჟიოტაჟი ამ ორი მატჩის გარშემო დიდი იყო და, ვფიქრობთ, გულშემატკივართა იმედები სავსებით გამართლდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, თბილისელები, ასეთი დაძაბული ბრძოლის მოწმე წლეულს არ ვყოფილვართ.

რას წარმოადგენს „სპარტაკი", რომელმაც წლევანდელ სეზონში ამდენი საწინააღმდეგო აზრი წარმოშვა? (იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც სპარტაკელთა შანსებს საკმაოდ პესიმისტურად აფასებდნენ). ლენინგრადის გუნდი, პირველ ყოვლისა, თანაბარი ძალის კალათბურთელებისგან შემდგარი, უჩვეულოდ მონოლითური კოლექტივია, სადაც დაკანონებულია ერთი მეტად გონივრული პრინციპი: „ყველანი გუნდისთვის, გუნდი — გამარჯვებისთვის!" „სპარტაკში", ისევე როგორც ყველა კოლექტივში, რა თქმა უნდა, არიან სოლისტები, რომლებიც სხვებზე უკეთ ისვრიან კალათში (ბიკოვი), ან უფრო ეფექტურად მოქმედებენ „ზედა სართულებზე" (ივანოვი). მაგრამ ამის გამო ისინი სრულიადაც არ არიან პრივილეგირებულ პირობებში. პირიქით, საათნახევრის მანძილზე ეს სოლისტები რიგითი მებრძოლების „შავ სამუშაოსაც" არ ერიდებიან.

„სპარტაკის" სიძლიერე ხაში თვალისთვის ძნელი დასანახია, მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ მოჩვენებითი უბრალოების მიღმა გუნდის დიდი ბრძოლისუნარიანობა იმალება. აი, ესაა, ჩვენი აზრით, ლენინგრადელთა წლევანდელი წარმატების თავი და ბოლო, — ბრძოლისუნარიანობა, შერწყმული მაღალ ტექნიკურ მომზადებასთან და ეფექტურ სროლასთან.

„დინამომ" იცოდა, რომ გაუჭირდებოდა ფარქვეშ ბრძოლა. მას აკლდა დაშავებული სხიერელი და მისი როლი „საჰაერო" ჭიდილში ვილაც სხვას უნდა ეკისრა. ეს აუცილებელი იყო ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ სამოქმედო ასპარეზი განთავისუფლებოდა ლეჟავას — დინამოელთა შეტევის ლიდერს. სხიერელი ორივე მატჩში საკმაოდ ეფექტურად შეცვალა ქორქიამ. და მაინც, პირველ შეხვედრაში გამარჯვება სულ სხვა გზით მოვიდა. ფარის უსაფრთხოება თავისთავად მასპინძლების წარმატების ერთ-ერთი პირობა იყო, მაგრამ გადამწყვეტი მაინც თავდასხმის ეფექტურობა გახლდათ. აქ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ალთაბაევმა.

მეორე მატჩმა უფრო რელიეფური გახადა ძალთა თანაფარდობა ფარქვეშ ატლეტურ ბრძოლაში. მასპინძლები მეტად დაზარალდნენ, რადგან ძირითადი ხუთეულის ოთხი წევრი (უგრეხელიძე, ალთაბაევი, ქორქია, ნარიმანიძე) ამ ბრძოლაში დაეცა (ლენინგრადელებმა დაკარგეს 3 კალათბურთელი სასტარტო შემადგენლობიდან). მაგრამ თავგანწირვის საზღაურიც სწორედ ის იყო, რომ ლეჟავა თამაშს ბოლომდე შერჩა.

თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა აიღეს და ოქროს მედლებისკენ კიდევ ერთი საქმიანი ნაბიჯი გადადგეს. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სანუკვარი ჯილდო საკმაოდ მაცდურად უღიმის სხვა ღირსეულებსაც, პირველ ყოვლისა კი ცსკა-ს. აქამდე „სპარტაკისა" და „დინამოს" მატჩს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ახლა იგი წარსულს ჩაბარდა. დღის წესრიგში დადგა ახალი დილემა — „დინამო" თუ ცსკა? ვინ იცის, შესაძლოა ჩემპიონობის ბედი მართლაც მოსკოვის ორმა მატჩმა გადაწყვიტოს.

ნ. გუგუშვილი.



ვეტერანთა ბრძოლის ფრაგმენტი. ამაოდ დასდევს კუტუზოვი დინამოელთა ლიდერს ალთაბაევს (მარჯვნივ), რომელიც ამ დღესაც თავისი გუნდის გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სამ ქალაქში...

**მოსკოვი, 30 მარტი.** მეორე მატჩი სვერდლოვსკის „ურალმაშთან" გათამაშების ახალმა ლიდერმა — ცსკა-მ გაცილებით უფრო აგრესიულად და შინაარსიანად ჩაატარა: ქულა მან ფაქტიურად შესვენებამდე გაინაღდა — 40:27. მეორე ტაიმში მოსკოველთა ახალგაზრდულმა შემადგენლობამ გამარჯვება უფრო დამაჯერებელი გახადა — 93:67.

**კაუნასი, 30 მარტი.** აი, ეს იყო, ასე ვთქვათ, ასპროცენტიანი რევანში: კიევის არმიელთა გუნდმა განმეორებითი მატჩი „ჟალგირისს" მოუგო ანგარიშით 67:65 (ალბათ გახსოვთ: ამ გუნდების პირველი შეხვედრის ანგარიშიც 67:65 იყო).

**რიგა, 31 მარტი.** ადგილობრივი არმიელებისა და კიევის „სტროიტელის" გუშინ გამართულ პირველ მატჩში უმნიშვნელო უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო — 70:67. განმეორებითი შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 65:60.

## კოხტაგორა მასპინძლობს

ბაკურიანი, 1 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კოხტაგორას ამდენი სპორტსმენი კარგა ხანია არ უნახავს: ახალგაზრდა სამთომოთხილამურეთა საკავშირო პირველობაში მონაწილეობისთვის ბაკურიანს 22 გუნდის 260-მდე წარმომადგენელი ეწვია. შეჯიბრების მონაწილენი ორ ასაკობრივ (საშუალო და უფროსი ასაკი) ჯგუფად დაიყვნენ. სათანადო მოსამზადებელი ვარჯიშის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებისა და ოლქების ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ბავშვთა სპორტული სკოლების გუნდები. აქ არიან „დინამოს", ცსკა-ს, „ზენიტის", „ვარპას", „ტრუდის", „კაირატის", „შრომითი რეზერვების", „ენბეკის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ბაკურიანის, ჩუსოვოს, ოტეპიას, კემეროვოს, მანჩეგორსკის, კიროვსკისა და სხვათა სპორტსკოლების და ახალგაზრდული სკოლების საუკეთესო აღსაზრდელები.

ტურნირის გახსნა ნამდვილ ზეიმად იქცა. აღლუმზე თავი მოიყარეს გუნდების წარმომადგენლებმა, რომელთაც მიესალმა საქართველოს სსრ სპორტკავშირის განყოფილების გამგე შ. ახვლედიანი. შემდეგ შეჯიბრების ალამი აღმართეს.

პირველობას სტარტი მეორე დღეს უნდა მისცემოდა, მაგრამ ძლიერი ქარის გამო ასპარეზობის დაწყება ერთი დღით შეფერხდა, რამაც პროგრამის კალაუნებური შეკუმშვა გამოიწვია.

ტურნირი ფაქტიურად შაბათს დაიწყო. უფროსი ასაკის გოგონები სწრაფდაშვების 1500-მეტრიან ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, საშუალო ასაკის გოგონებს კი 150 მეტრით ნაკლები მანძილი უნდა გაევლოთ.

უფროსი ასაკის ჯგუფში შეჯიბრების სტარტზე 62 სპორტსმენი გამოცხადდა. მათ შორის 3 ოსტატი იყო, უმეტესობა კი ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები გახლდნენ, რის გამოც ბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა. საქართველოს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა მედეა თვაურმა (განათლების სამინისტრო) გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა — ტრასაზე საშუალოდ 70 კილომეტრის სისწრაფით ჩაიქროლა და 1.23,2 აჩვენა. თვაურის შედეგის გაუმჯობესებას ბევრი ცდილობდა და მას ბოლოსდაბოლოს მხოლოდ ერთმა აჯობა: მანჩეგორსკის ბავშვთა სპორტსკოლის აღზრდილმა, სპორტის ოსტატმა სვეტლანა ისაკოვამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გუნდის სხვა წევრებს ასეთი შედეგები ჰქონდათ: მარგარიტა ცარიტოვა — 1.37,4 (მე-15 ადგილი), ასმათ ჯაფარიძე — 2.10,8 (36-ე ადგილი).

საშუალო ასაკის ჯგუფში ჩვენი რესპუბლიკის სამთომოთხილამურე გოგონები მეტად უსვეროდ გამოვიდნენ. მათგან საუკეთესომ — ნელი რატიანმა 27-ე ადგილი დაიკავა — 1.32,0. ბაკურიანელი მოსწავლეები თინა კოზანაშვილი და დარეჯან ბაკაევა 45-ე და 53-ე ადგილებს დასჯერდნენ.

საპრიზო ადგილები მოიპოვეს: 1. ა. პოპკოვიჩმა („დინამოს" ცენტრალური საბჭოს სპორტსკოლა) — 1.13,9, 2. ლ. რუმიანცევამ (კარელიის ბავშვთა სპორტსკოლა) — 1.14,5 და 3. ო. ხუხლაევამ (ცსკა) — 1.14,7.

მეორე დღეს სარბიელი ჭაბუკებს დაეთმოთ. უფროსი ასაკის 84 სპორტსმენი 1520-მეტრიან ტრასაზე იბრძოდა (სიმაღლეთა სხვაობა 370 მ, 15 კარი). სწრაფდაშვებაში ი. კამელი („ლოკომოტივი") მანამ ლიდერობდა (1.16,1), სანამ ფინიშთან ყაბარდო-ბალყარეთის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელი ი. ტილოვი არ მიიჭრა — 1.10,5. ახლა ტილოვის მაჩვენებელი გახდა ორიენტირი სხვებისთვის. ამ შედეგის გაუმჯობესება ველარავინ შეძლო. ჩემპიონობის მაძიებლებიდან მხოლოდ ა. ლეონტიევმა (კავგოლოვო) ზუსტად ისეთივე შედეგი აჩვენა და მსაჯთა კოლეგიაც იძულებული გახდა ორივესთვის I ადგილი მიეკუთვნებინა.

მაგრამ ეს ამ შეჯიბრების ერთადერთი სენსაცია არ იყო. მ. დომნენკომ („ბურევესტნიკი") და ა. პოპკოვმა („სპარტაკი") გამარჯვებულებთან 0,3 წამით წააგეს. მსაჯებმა უკვე ნაცად გზას მიმართეს: ორივეს II ადგილი მიანიჭეს. ამის წყალობით III ადგილზე გავიდა ი. ციაგუნსი („ვარპა") — 1.11,1.

მასპინძლებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ა. სტეფანიანს (საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო) — 1.13,4, რამაც მას VIII ადგილი მოუპოვა. სტეფანიანის თანაგუნდელმა ლ. ხუბაევმა XVI ადგილი (1.15,0) დაიკავა. მეტს ველოდით ბაკურიანელი დ. თვაურისგან (განათლების სამინისტრო). მან ერთ-ერთ კართან წაიფორხილა და საბოლოოდ 25-ე ადგილს დასჯერდა — 1.16,1. მასპინძელთა სხვა წარმომადგენლები უფრო წარუმატებლად გამოვიდნენ, მაგრამ რაკი ეს ტურნირი მათთვის პირველი დიდი შეჯიბრებაა, ვერ ვუსაყვედურებთ.

საშუალო ასაკის ჭაბუკთა სწრაფდაშვებაში (სიგრძე 1350 მ, სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 11 კარი) გაიმარჯვა ა. კუზნეცოვმა (კავგოლოვო) — 1.05,2, მეორე იყო ა. სტაროდუბცევი („სპარტაკი") — 1.06,5, III — ს. ტროფიმოვი („დინამო") — 1.06,8. საქართველოს გუნდიდან საუკეთესომ გ. ღარიბაშვილმა 74 მონაწილეს შორის 31-ე ადგილი დაიკავა — 1.12,9.

შეჯიბრება გრძელდება.

გ. ფარულავა,
ვ. მიქაბერიძე.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და ბაქოს „ბურევესტნიკი". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 85:74 (41:26).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 36 | 24 | 12 | 2386—2229 | 24 |
| „დინამო" (თბილისი) | 33 | 23 | 10 | 2426—2266 | 23 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 34 | 23 | 11 | 2434—2345 | 23 |
| ასკ (კიევი) | 37 | 23 | 14 | 2599—2457 | 23 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 36 | 20 | 16 | 2356—2322 | 20 |
| „კალევი" (ტარტუ) | 36 | 18 | 18 | 2415—2345 | 18 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 18 | 16 | 2409—2385 | 18 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| ასკ (რიგა) | 36 | 17 | 19 | 2616—2591 | 17 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 33 | 15 | 18 | 2163—2132 | 15 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 38 | 7 | 31 | 2592—2955 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 35 | 6 | 29 | 2543—2972 | 6 |

## უმაღლეს ლიგაში

**ტალინი, 31 მარტი.** აქ დამთავრდა კალათბურთელ ქალთა 6 გუნდის ტრადიციული ტურნირი, რომელსაც უნდა გამოევლინა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის მონაწილე 2 კოლექტივი. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ როსტოვის „ბურევესტნიკი", პენზის „სპარტაკი", ტარტუს „უნივერსიტეტი", ლენინგრადის „სპარტაკი" და მოსკოვის ორი გუნდი — „სერპ ი მოლოტი" და „სპარტაკი".

I ადგილი დაიკავა ლენინგრადის „სპარტაკმა", ხოლო II — ტარტუს „უნივერსიტეტმა". ამ გუნდებმა გაისად „ა" კლასის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

## ორი ნახევარფინალი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალურმა მატჩებმა კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის ასეთი შედეგები მოგვცა: მადრიდში ადგილობრივმა „რეალმა" მოუგო იუგოსლავიის „ზადარს" — 76:62 (47:24), ხოლო მილანში „სიმენტალმა" დაამარცხა ბრნოს „სპარტაკ-ზკლ". ეს მატჩი უაღრესად დაძაბული და დრამატული ბრძოლით აღინიშნა. პირველი ტაიმი ჩეხოსლოვაკიელებმა საკმაოდ დიდი უპირატესობით (33:19) მოიგეს. შესვენების შემდეგ „სიმენტალმა" წონასწორობა აღადგინა, ბოლო წამზე კი გამარჯვებასაც მიაღწია — 64:63.

ამ გუნდების განმეორებითი მატჩები გაიმართება 4 აპრილს.

# ისევ თავიდან!

საჭადრაკო ხელოვნების მოყვარულებს შეიძლება მივულოცოთ: დღეს სოხუმში იწყება ათპარტიიანი მატჩი საჭადრაკო ტახტის პრეტენდენტებს ბ. სპასკისა და ე. გელერს შორის (გუშინ მოხდა ამ საინტერესო შეჯიბრების საზეიმო გახსნა. პირველ პარტიაში თეთრებით თამაშობს გელერი. — რედ.). მალე გათამაშდება სხვა მეოთხედფინალური მატჩებიც.

ალბათ, ბევრს ახსოვს, რომ პრეტენდენტის ბედი სპასკისა და გელერს მეორედ ახვედრებს ერთმანეთს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველი შეხვედრა, რომელიც 1965 წლის ზაფხულში გაიმართა, ნახევარფინალური შეჯიბრება იყო. ვიდრე ეს შეხვედრა შედგებოდა, სპასკიმ მოუგო პ. კერესს (6:4), ხოლო გელერმა — ვ. სმისლოვს (5,5:2,5).

სპასკი — გელერის პირველი მატჩი ოდესელი დიდოსტატისთვის კატასტროფული იყო: სპასკის არც ერთი პარტია არ წაუგია, სამი კი მოიგო და გაიმარჯვა იმავე ანგარიშით, რა ანგარიშითაც გელერმა სმისლოვთან. ეფექტური შთაბეჭდილება დატოვა არა მხოლოდ ანგარიშმა, არამედ თამაშის სტილმაც: თითქმის ყოველ პარტიაში სპასკი ისეთ ბრძოლას ახვევდა თავს გელერს, რომ ამ უკანასკნელს თავისი სტრატეგიული ხელოვნების სრულად გამოყენება არ შეეძლო, რთული ტაქტიკური ამოცანების წინაშე დგებოდა და ხშირად ვერ წყვეტდა მათ.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ახალ მატჩში სპასკის უფრო მეტი შანსი აქვს გამარჯვებისა, ვიდრე გელერს? ვფიქრობ, რომ არა. სპეციალისტები ალბათ ამჯერად თავს შეიკავებენ პროგნოზებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ სპასკიმ მსოფლიო ჩემპიონის ღირსეულ მეტოქედ გაგვაცნო თავი.

რას ეფუძნება ეს აზრი?

პირველ ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რომ გელერს მატჩის პირველ პარტიაში მარტივი კომბინაციით შეეძლო ფიგურის მოგება, რაც, ალბათ, გამარჯვებას მოუტანდა. მაგრამ მან მშვიდი თამაში ამჯობინა, უპირატესობა დაკარგა და შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. ამ წარუმატებლობამ ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა გელერს და უეჭველად გავლენა იქონია შეხვედრის შემდგომ მსვლელობაზე.

ცნობილია მეორე გარემოებაც: ბოლო წლებში გელერი უჩვეულო შეუპოვრობით ემზადებოდა პრეტენდენტთა მატჩებისათვის. მიზეზი ძნელი მისახვედრი როდია. მარტში გელერს 43 წელი შეუსრულდა და გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ თუ მან ახლა არ აჯობა მეტოქეებს, მომავალში ალბათ ველარ დაემუქრება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელს.

თბილისის საკავშირო ჩემპიონატსა და ტუნისის საზონათაშორისო ტურნირში გელერის თამაში ღრმა, მრავალწახნაგოვანი და მეტად დამაჯერებელი იყო. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ორ საერთაშორისო ტურნირში გელერმა გამანადგურებლად დაამარცხა რ. ფიშერი, ხოლო დიდოსტატთა მოსკოვის ტურნირში მეტად მნიშვნელოვანი პარტია მოუგო სპასკის.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გელერმა მთლიანად დასძლია საკუთარი შესაძლებლობის მიმართ ეჭვი, გულგატეხილობა, რაც მას სპასკისთან პირველი მატჩის შემდეგ ჰქონდა. თუ ამას დავუმატებთ საკუთარი შეცდომების ანალიზის უნარს და რევანშის აღების ბუნებრივ წყურვილს, მაშინ ნათელია, რომ სპასკის ყოველმხრივ მომზადებულ, გაბედულ და გამარჯვების მაძიებელ მეტოქესთან ექნება საქმე.

როგორ შევაფასოთ სპასკის შანსები? პრეტენდენტთა წინა ციკლის მატჩებში მან მოუგო კერესს, გელერსა და ტალს — ამით ყველაფერია ნათქვამი! სტატისტიკის მოყვარულებს შეგვიძლია ვაცნობოთ საერთო ანგარიშიც — 18,5:10,5 სპასკის სასარგებლოდ. და, ბოლოს, სპასკიმ, თუმცა წააგო, მაგრამ მინიმალური განსხვავებით წააგო მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან — 11,5:12,5.



ბ. სპასკი



ე. გელერი

ამის დავიწყება, რომ სპასკი გელერზე 11 წლით უმცროსია, არ შეიძლება. ამ გარემოებას 3 წლის წინათაც ჰქონდა მნიშვნელობა, ახლა კი მით უმეტეს. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სპასკიმ პეტროსიანთან ორთვიან ჭიდილში სამატჩო ბრძოლის ძვირფასი გამოცდილება შეიძინა. გელერს ასეთი გამოცდილება არა აქვს, თუმცა მატჩები მასაც უთამაშია.

მიუხედავად ამისა, არის მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც შეიძლება სპასკის წინააღმდეგ არ მეტყველებენ, მაგრამ მისი შანსის შეფასებისას მაინც სიფრთხილეს გვაიძულებენ.

პირველ ყოვლისა, სულაც არაა ნათელი კარგია თუ ცუდი სპასკის გამარჯვება გელერთან წინა შეჯიბრებაში. ჭადრაკის ისტორიამ იცის არა ერთი შემთხვევა, როცა დიდოსტატები სასარგებლო გაკვეთილს ღებულობენ წაგებისგან, მაგრამ ცნობილია იმის მაგალითებიც, როცა გამარჯვებულის ჰიპნოზი ხელს უშლიდა მეტოქეთა ძალის შეფასებას მატჩ-რევანშში. საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც, სმისლოვისა და ტალის ტრაგიკული წარუმატებლობა ბოტვინიკთან მატჩ-რევანშში.

მეორე და იქნებ უფრო მნიშვნელოვანი ამბავი: სპასკის ბოლო ორი წლის მანძილზე მთელი ძალით არც ერთ ტურნირში არ უთამაშია და ამით ხანგრძლივად დაისვენა.

კარგია ეს თუ ცუდი? რთული კითხვაა. ამბობენ, რომ სპასკიმ შეგნებულად გააკეთა ეს, მიზნად დაისახა, რომ პრეტენდენტთა შეჯიბრებაში ნათელი გონებით, თამაშის წყურვილით ჩაებას.

ეს ყოველივე კარგია და ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ რამდენიმე თვის საგანგებო საჭადრაკო მომზადება საკმარისია თეორიული რეპერტუარის გადასახალისებლად. მაგრამ შეძლებს კი სპასკი ორი წლის დასვენების შემდეგ უმტკივნეულოდ ჩაებას დაძაბული შეჯიბრების რიტმში? ხომ არ დასჭირდება დრო სპორტულ ფორმაში შესვლისთვის? მას ეს დრო არ ექნება შეჯიბრების დაწყებისას.

ამრიგად, ამ მატჩში ერთმანეთს შეხვდება არა მხოლოდ ორი ნიჭიერი დიდოსტატი, არამედ მომზადების ორი განსხვავებული მეთოდი. და ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ამჯერად ვისი მეთოდია უფრო მართებული.

თუმცა მნიშვნელობა ენიჭება ბევრ სხვა ფაქტორსაც, მაგალითად იმას, თუ ვინ მოიგებს პირველ პარტიას; იმასაც, დაუშვებს თუ არა გელერი ორ-სამ უხეშ შეცდომას, რაც ზოგჯერ ემართება მას; იმას... განა ღირს გავაგრძელოთ ჩამოთვლა? მაინც ვერ შევძლებთ იმ მცირე თუ დიდ შესაკრებთა გათვალისწინებას, რომლებიც ბოლოსდაბოლოს ერთ-ერთ მეტოქეს შეუდგენენ საჭირო ჯამს — 5,5 ქულას.

პეტროსიანისა და სპასკის ტიტანური ბრძოლა თითქოს ახლახან დამთავრდა. და ჩემპიონი კვლავ მეტოქის მოლოდინშია. დიახ, მსოფლიო ჩემპიონობა მოუსვენარი „თანამდებობაა". მაგრამ, როგორც ჩანს, პრეტენდენტები ტყუილად როდი ცდილობენ თავს იდონ ამ „თანამდებობასთან" დაკავშირებული საზრუნავი.

ვ. ვასილიევი.

# ზესტაფონელი პრობლემისტის წარმატება

შორეული აღმოსავლეთის გაზეთმა „ნახოდკინსკი რაბოჩიმ" ამას წინათ შეაჯამა საჭადრაკო კომპოზიციაში თავისი საერთაშორისო კონკურსი, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნა.

ჟიურიმ I პრიზი მ. ფარცხალაძისა (ზესტაფონი) და ტ. ამიროვის (ნახოდკა) კოლექტიურ ხუთსვლიან ამოცანას მიანიჭა.

აი, ეს ამოცანაც:



შამათი ხუთ სვლაში.

# აჩქარება ცუდი მრჩეველია

თბილისის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატში 13 ტურის შემდეგ ლიდერობენ: რ. ჯინჯიხაშვილი — 10 ქულა, თ. გიორგაძე — 9,5, თ. ლომაია — 9, ე. უბილავა, გ. კალატოზიშვილი — 7,5-7,5, გ. ციხელაშვილი — 7, ს. მეგრელიშვილი, ა. ბოკუჩავა — 6,5-6,5, ნანა ალექსანდრია, ა. წერეთელი, გ. მაჭავარიანი — 6-6.

რომან ჯინჯიხაშვილს ჯერ კიდევ ბავშვობაში უსაყვედურებდნენ თამაშში აჩქარებას. მახსოვს მან მ. ბოტვინიკიც კი გააოცა ერთდროული თამაშის სეანსში „კოსმოსურად" სწრაფი წაგებით. ამ სენისგან ნიჭიერი ოსტატი ვერა და ვერ განიკურნა. და აი, „გულის ძახილის" აყოლა ბევრ უსიამოვნო წუთს განაცდევინებს ხოლმე მას. ეს ჯინჯიხაშვილს თბილისის პირველობაშიც უშლის ხელს. X ტურში იგი გიორგაძეს შეხვდა. ეს იყო ლიდერთა პრინციპული პარტია. ჯინჯიხაშვილმა თავდაპირველად მცირე უპირატესობა მოიპოვა, ენდშპილში კიდევ უფრო კარგად თამაშობდა და ორი პაიკიც მოიგო. შეხვედრის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რომანი აჩქარდა, ზერელედ დაიწყო თამაში და... ყაიმზე „წამოეგო".

მეორე დღეს ჯინჯიხაშვილმა კვლავ ყაიმით დაამთავრა პარტია (კალატოზიშვილთან), თუმცა ზედმეტი ხარისხი გამარჯვებას ჰპირდებოდა. XII ტურშიც ყაიმით დაკმაყოფილდა. ამჯერად ყაიმი „დიდოსტატური" გახლდათ.

ჩვენ ბევრს მოველით ჯინჯიხაშვილისგან და ამიტომ არ გვეჭაშნიკება მისი ეს სუსტი მხარე.

ბოლო სამი (X-XII) ტურის გმირები არიან ლომაია (3 ქულა), გ. მაჭავარიანი (2,5), ნანა ალექსანდრია, გიორგაძე, უბილავა და კალატოზიშვილი (2-2).

ლომაიამ და მაჭავარიანმა 2-2 ქულა აუტსაიდერებთან (ჩახოიანი, გასპაროვი) შეხვედრებში მოაგროვეს. ლომაია ქებას იმსახურებს ა. ბოკუჩავასთან პარტიაში გამარჯვებისთვის. მაჭავარიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ალექსანდრიასთან, ნანამ კი მოუგო ე. კარკმაზოვს და დაუზავდა ა. წერეთელს.

გიორგაძემ და კალატოზიშვილმა დაამარცხეს ს. მეგრელიშვილი, ამ უკანასკნელმა კი ბოკუჩავას მოუგო.

პირველობის მაძიებელნი, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდნენ: სათამაშო დარჩა 5 ტური.

თ. ნინოშვილი.

# „კოლმეურნემ" მოიგო

მძლეოსნობა

გურჯაანში გაიმართა რაიონული პირველობა კროსში, რომელშიც „კოლმეურნის", „შრომითი რეზერვებისა" და განათლების განყოფილების 154 სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდური პირველობა „კოლმეურნემ" მოიგო. 5 კილომეტრზე რბენაში ყველას ჩუმლაყელმა კოლმეურნემ ვ. ვერულაშვილმა აჯობა. 3 კილომეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ვეჯინელი ვ. ხუხუნი.

2-კილომეტრიან დისტანციაზე თავიდანვე არაშენდელი მოსწავლე თ. ჩომახაშვილი დაწინაურდა და I ადგილიც დაიკავა. მისმა თანაგუნდელმა ნ. ბოლოციშვილმა ყველას აჯობა 1 კილომეტრზე რბენაში. გოგონების 1000 მეტრზე ასპარეზობა მოიგო ბაკურციხის ტექნიკუმის მოსწავლემ ქ. ტურიაშვილმა, ხოლო 800 მეტრზე რბენის ფინიშთან ყველას კაჭრეთელმა ქ. ბაზერაშვილმა მიასწრო.

ი. ოდიშელიძე.

გურჯაანი.

# ამჯერად, მოსკოვში

ორი კვირის წინ თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის „ა"კლასის წყალბურთელთა ჩემპიონატის პირველი წრე და დღეს უკვე დასკვნითი, მეორე წრის თამაშები იწყება მოსკოვში. 10 დღის შემდეგ, 12 აპრილს, ცნობილი გახდება საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონის ვინაობა. პირველი წრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გამარჯვების დიდი შანსი აქვთ მოსკოვის „დინამოსა" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის სპორტსმენებს.

გათამაშების ცხრილში III ადგილზეა ლენინგრადის „ბალტიკა". ახლა ძნელია თქმა, შეინარჩუნებენ თუ არა ნევისპირელები მოპოვებულ პოზიციებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მათ საპრიზო ადგილს შეეცილებიან მოსკოვის უნივერსიტეტის, კიევისა და თბილისის „დინამოს" წყალბურთელები. ერთი სიტყვით, ეს სამი კოლექტივი თანაბრად სახიფათო მეტოქეა გათამაშების მესამე ლიდერისა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ორკვირიანი შესვენება რომელმა გუნდმა გამოიყენა უკეთ.

დანარჩენი გუნდების (მოსკოვის „ტორპედო", წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია (წკფ), ლვოვის „დინამო" და ვოლგოგრადის „სპარტაკი") მდგომარეობა მეტად საჭოჭმანოა. მათი უმთავრესი ამოცანა ალბათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. მათგან ყველაზე მეტად ვოლგოგრადელებს უჭირთ, რომლებმაც თბილისში მხოლოდ 1 ქულა მოიპოვეს.

II წრის დაწყების წინ ურიგო არ იქნება გადავხედოთ I წრის გათამაშების ცხრილს.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 9 | 6 | 3 | 0 | 37—22 | 15 |
| ცენტრ. საწყლ. სპორტკლუბი | 9 | 7 | 0 | 2 | 30—17 | 14 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 9 | 4 | 4 | 1 | 25—23 | 12 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 9 | 4 | 2 | 3 | 30—25 | 10 |
| „დინამო" (კიევი) | 9 | 3 | 4 | 2 | 19—20 | 10 |
| „დინამო" (თბილისი) | 9 | 2 | 5 | 2 | 29—28 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 9 | 2 | 3 | 4 | 23—24 | 7 |
| წკფ (ბაქო) | 9 | 1 | 4 | 4 | 24—31 | 6 |
| „დინამო" (ლვოვი) | 9 | 2 | 2 | 5 | 29—37 | 6 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 9 | 0 | 1 | 8 | 21—40 | 1 |

◆ სუმგაითი, 1 აპრილი. აქ გაიმართა მოტოკროსში სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატის პირველი ეტაპი. „250-ანების" კლასში ყველას აჯობა კიეველმა არმიელმა ლ. შინკარენკომ. II ადგილი დაიკავა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. არბეკოვმა (ცსკა), ხოლო III — ლენინგრადელმა არმიელმა გ. მოისეევმა. „500-ანებში" ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს გ. დრაუგსს (რიგის ასკ). II ადგილზეა ს. საარი (ტალინი), III — ი. სუხოვი (მოსკოვი). შეჯიბრების ყველა მონაწილე პირველად ასპარეზობდა ჩეხოსლოვაკიური მანქანებით „ჩეზეტ". ჩემპიონატის მორიგი 3 ეტაპი გაიმართება აპრილში თბილისს, სოხუმსა და ლვოვში.

◆ რუკა, 1 აპრილი. თავიანთი ჩემპიონატი რომ ჩაეტარებინათ, ფინელი „მფრინავი მოთხილამურეები" იძულებული იყვნენ ჩამოსულიყვნენ ფინეთის აღმოსავლეთით მდებარე ამ პატარა ქალაქში, საიდანაც ჯერ არ წასულა ზამთარი. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა 21 წლის ტ. მატილამ (ნახტომები — 103 და 104 მ). მას სულ ნახევარი ქულით ჩამორჩა ასევე ახალგაზრდა სპორტსმენი კ. ლაიჰო, რომელიც ერთ-ერთ ცდაში ყველაზე შორს (106 მ) გადახტა. გამოცდილმა ვ. კანკონენმა მხოლოდ III ადგილი დაიკავა.

◆ შტრბსკე-პლესო, 1 აპრილი. ტატრის მთიანეთში აგებულ ახალ ტრამპლინზე გამარჯვებით დაასრულა სეზონი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. რაშკამ (ჩეხოსლოვაკია). მან დააგროვა 218,6 ქულა (ნახტომები — 94 და 90 მ). რაშკამ ჩამოიტოვა ძლიერი მეტოქეები, მათ შორის, მსოფლიო რეკორდსმენი რ. ბაჰლერი (ავსტრია).

◆ კლერმონი, 1 აპრილი. კალიფორნიის ამ ქალაქში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა ბობ სიგრენმა — 519 სმ. სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა 19 წლის ზანგმა ჯერი პროკტორმა (803 სმ), ხოლო მისმა თანატოლმა ჯორჯ ვუდსმა ბირთვი 19,94 მეტრზე ჰკრა.

◆ სტარა-ზაგორა (ბულგარეთი), 1 აპრილი. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი „ბეროე". გოლის ავტორია ვ. კორსუნოვი.

# დაასამარეს უკანასკნელი იმედი

პარიზი, 1 აპრილი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის საგანგებო სხდომაზე სანქცია მისცა ეგრეთ წოდებული „ღია ტურნირების" ჩატარებას, რომლებშიც მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიონალებსაც და მოყვარულებსაც. მართალია, ფედერაციის აღმასკომმა ამგვარი ტურნირების სიას „ლიმიტი" დაადო, მაგრამ ამ სიაში ფაქტიურად შევიდა ყველა დიდი ასპარეზობა: უიმბლდონის ტურნირი, საფრანგეთის, აშშ-ს და ავსტრალიის ჩემპიონატები.

პირველი ასეთი ტურნირი, რომელშიც პროფესიონალებიც და მოყვარულებიც იასპარეზებენ, დაიწყება 22 აპრილს ინგლისის კურორტ ბორნემუტში.

ბევრი პროტესტის მიუხედავად, საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს სამოყვარულო ჩოგბურთის ინტერესებსა და მის მომავალს. იმის მაგიერ, რომ დაეცვა ჩოგბურთი უცხო, შეუთავსებელი გავლენისგან, საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა დაჰყვა გარკვეული წრეების დაწოლას.

ჩოგბურთში ფულადი ინტერესების წინ წამოწევამ დაასამარა უკანასკნელი იმედები იმისა, რომ სპორტის ეს სახეობა კვლავ დაუბრუნდება ოლიმპიური თამაშების პროგრამას.

# სპორტის ამბები

## მენტონაში — პირველი

მენტონაში (საფრანგეთის რივიერა) გამართულ საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა: ფინალში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი პოლოჩეკი — 7:5, 6:4, 6:4.

ლიხაჩოვთან ერთად მეტრეველმა წარმატებით იასპარეზა ვაჟთა წყვილების მეოთხედფინალში და ნახევარფინალისკენ გაიკვლია გზა. საბჭოთა ჩოგბურთელებმა მოუგეს ესპანელებს გიერეროსა და მუნოსს — 6:3, 6:4. მეოთხედფინალში გაიმარჯვეს ლეიუსმა და ეგოროვმაც. მათ დაამარცხეს კოლუმბიელები ალვარესი და მალინა — 6:4, 7:5.

შერეულ წყვილებში ლიხაჩოვი ავსტრალიელ შერიფთან ერთად ასპარეზობს. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა შამპოსა და ბულის (ორივე — ბელგია) დამარცხებით — 6:0, 6:1. მეტრეველმა და ინგლისელმა ლოიდმაც გამარჯვებით განვლეს შერეულ წყვილთა მეოთხედფინალი.

● რავალპინდი, 30 მარტი. ალმა-ათის „კაირატმა“ პაკისტანში თავისი ტურნეს ბოლო, მეოთხე მატჩი გამართა. გუშინ აქ ჩატარებული ეს უკანასკნელი თამაშიც სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა — მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები.

● პარიზი, 31 მარტი. საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა გუნდმა აქ დიდ წარმატებას მიაღწია — მოიპოვა გაზეთ „იუმანიტეს“ ტრადიციული საერთაშორისო კროსის ყველა პრიზი — ძმები ზნამენსკების სახელობისა (გუნდური გამარჯვებისთვის ვაჟთა შორის), ნ. კრუპსკაიას სახელობისა (ასეთივე გამარჯვებისთვის ქალებში) და მ. ტორეზის სახელობისა (ვაჟებში გამარჯვებისთვის). „კურნევის“ სტადიონზე 8-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად, 23 წუთსა და 59 წამში გაირბინა ალმაათელმა დინამოელმა, 24 წლის ლ. მიკიტენკომ. მას სულ ცოტათი ჩამორჩა თანაგუნდელი გ. ხლისტოვი.

● ვოსკრესენსკი, 31 მარტი. აქ დამთავრდა ნორჩ ჰოკეისტთა ტრადიციული მასობრივი საკავშირო ტურნირი „ოქროს შაიბის“ პრიზზე. ამ საინტერესო გათამაშების ფინალურ მატჩში ჩელიაბინსკის მილსაგლინავი ქარხნის მე-3 სახლმმართველობის გუნდმა ანგარიშით 7:6 დაამარცხა ადგილობრივი „სნეჟინკა“. III ადგილი დაიკავა სევეროდვინსკის „ნეპტუნმა“.

● ტალინი, 31 მარტი. ესტონეთის ბუერისტებს ბადალი არ ჰყავდათ გუშინ იულემისტეს ტბაზე დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში. მათ გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში და ოქროს 3 მედალიც მოიპოვეს. სტუმართაგან მხოლოდ ერთმა მიაღწია წარმატებას: სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდის წარმომადგენელმა ვ. ტინაევმა ყველას აჯობა 20-მეტრიან კლასში.

● რიო-დე-ჟანეირო, 31 მარტი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა — სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა წაუგებლად დაამთავრა ტურნე სამხრეთ ამერიკაში. ბოლო მატჩი სტუმრებს ბრაზილიის ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ მასპინძლებს ძალიან სურდათ ჩემპიონთა დამარცხება და ამიტომ მათ წინააღმდეგ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ათამაშეს. ყოველივე ამაო გამოდგა: საბჭოთა გუნდმა ისევ გაიმარჯვა. მატჩის ანგარიშია 79:72 (43:42).

● კიროვსკი, 31 მარტი. აქ საინტერესოდ მიმდინარეობს ტრადიციული, 34-ე „ჩრდილოეთის დღესასწაული“. გიგანტურ სლალომში საუკეთესონი იყვნენ მასპინძლები: ლ. პეტროვა და ვ. მელნიკოვი. ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა მოსკოველმა ა. ივანიკოვმა.

სურათზე: [illegible] ოლიმპიადის [illegible] ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული ვ. ბელოუსოვი ასპარეზობის დროს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



# ფეხბურთი

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

შაბათს, გათამაშების XXIV ტურში, ქვეყნის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად მოუგო „სტოკ-სიტის“ — 4:2.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „კოვენტრი-სიტი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 1:0, „ნოტინგემ ფორესტი“ — „სანდერლენდი“ 0:3, „საუთჰემპტონი“ — „შეფილდ უენსდეი“ 2:0, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ბერნლი“ 5:0. ამ მატჩში გრივსმა გაიტანა თავისი მე-300 გოლი ინგლისის I ლიგის თამაშებში. ეს საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი ინგლისის ნაკრების მთელ ისტორიაში რჩება მის საუკეთესო სნაიპერად: გრივსის ანგარიშზეა 44 ბურთი.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტ.“ | 34 | 68:41 | 47 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 33 | 56:26 | 45 |
| „მანჩესტერ-სიტი“ | 33 | 72:37 | 45 |

• • •

მოსკოვის „ტორპედოს“ ხვალინდელმა მეტოქემ — II ლიგის „კარდიფ-სიტიმ“ კვლავ წააგო, ამჯერად, გასვლითი მატჩი IX ადგილზე მყოფ „მილუოლთან“ — 1:3. „კარდიფ-სიტი“ ბურთების შეფარდებით 56:60 XIV ადგილზეა.

### შოტლანდია

შაბათს „გლაზგო რეინჯერსმა“ გასვლითი მატჩი მოუგო „ეირდრიონიენსს“ — 2:1. გლაზგოს „სელტიკმაც“ სტუმრად მორიგი 2 ქულა აიღო — დაამარცხა „დანდი იუნაიტედი“ — 5:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 29 | 94:20 | 53 |
| „გლაზგო რეინჯერ.“ | 28 | 79:24 | 53 |
| „ჰიბერნიენი“ | 28 | 55:38 | 37 |

### იტალია

„მილანმა“ ვადამდე გაინაღდა ქვეყნის ჩემპიონის წოდება: გათამაშების მორიგ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ბრეშია“ და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა, თუმცა ამ კლუბს კიდევ 4 კალენდარული თამაში აქვს ჩასატარებელი.

ამრიგად, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი გაისად ჩემპიონთა თასის ტურნირში იასპარეზებს.

მსოფლიო ჩემპიონი — ინგლისის ნაკრები ლონდონის „უემბლიზე“ ხვალ ევროპის ჩემპიონატის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ხვდება ევროპის ჩემპიონს — ესპანეთის ნაკრებს. არც ინგლისელთა მწვრთნელს ა. რამსეის და არც ესპანელ დ. ბალმანიას ჯერ არ გამოუცხადებიათ მოთამაშეთა საბრძოლო შემადგენლობა, მაგრამ ორი კვირის წინ მათ უკვე დაასახელეს ნაკრები გუნდების 22-22 წევრი.

აი, რამსეის რჩეულნი: ბენქსი, სტეპნი, ბონეტი, ნიუტონი, უილსონი, ლებონი, ნოულზი, ჯ. ჩარლტონი, მური, ჰოლინსი, ჰანტერი, მალერი, პიტერსი, ბოლი, რ. ჩარლტონი, გრივსი, ოზგუდი, ჰანტი, ჰერსტი, სამერბი, სტაილსი, ტომპსონი. ბოლო კვირაში დაშავდა სტაილსი, დისკვალიფიცირებულია ბოლი. მიუხედავად ამისა, რამსეის კარგი მოთამაშეები საკმაოდ ჰყავს.

მიმომხილველთა გაკვირვება გამოიწვია ნაკრებში ვეტერან გრივსისა და ახალბედა ოზგუდის შეყვანამ. პირველი ინგლისური ფეხბურთის დიდებაა, მეორე — მისი მომავალი (20 წლის ოზგუდს, რომელიც მხოლოდ მეორე წელია თამაშობს ჩემპიონატში, ინგლისის ფეხბურთის „ამომავალ ვარსკვლავს“ უწოდებენ). ბოლო ხანებში რამსეი თითქოს ვერ ამჩნევდა ამ ორ თავდამსხმელს. ალბათ, ამიტომაა, რომ მისმა არჩევანმა ასეთი მღელვარება გამოიწვია. ასეა თუ ისე, რამსეის გუნდს არაფერი უჭირს — მის განკარგულებაში ბევრი ტოლფასოვანი მოთამაშეა. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ხვალ რამსეი მინდორზე თავის ნაწრთობ შემადგენლობას გამოიყვანს.

სულ სხვაგვარი მდგომარეობაა მოწინააღმდეგის ბანაკში, სადაც მწვრთნელი ბალმანია ცდილობს როგორმე შექმნას ანსამბლი. მან ახალგაზრდობა ამჯობინა და ნაკრებიდან გამოიყვანა ყველა ცნობილი ვეტერანი (მათ შორის, ესპანელ გულშემატკივართა კერპი ჰენტოც). აი, ბალმანიას 16-კაციანი ნაკრები: ირიბარი, სადურნი, ოსორიო, მორენო, ფერნანდესი, კანოსი, საინსი, პირი, სოკო, კასტელიანო, კლარამუნტი, ამანსიო, ანსოლა, გროსო, ველასკესი, არაგონესი.

## ხვალ „უემბლიზე“

როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან გუნდში მხოლოდ 5 მოთამაშე დარჩა: მეკარე ირიბარი, მცველი ფერნანდესი, ნახევარმცველები პირი და სოკო, თავდამსხმელი ამანსიო. ნაკრები ესპანეთის სხვადასხვა კლუბის ახალგაზრდა მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მის ბირთვს მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელები შეადგენენ: ნახევარმცველები პირი და სოკო, თავდამსხმელები ამანსიო, გროსო და ველასკესი.

ბალმანიას ამოცანა საკმაოდ რთულია: მას სჭირდება ფრე ინგლისელებთან „უემბლიზე“, გუნდი კი ფაქტიურად არ ჰყავს (ნაკრების წევრების ნაწილს ჯერ ერთად არ უთამაშია). მიმომხილველთა აზრით, ესპანეთის ნაკრები ლონდონში „ბეტონს“ დაეყრდნობა (სწორედ ამიტომ გამოიყვანეს გუნდიდან ჰენტო, რომელსაც მხოლოდ იერიში უყვარს), ხოლო 8 მაისს, საპასუხო შეხვედრაში, თავბრუდამხვევ იერიშებს მიიტანს ინგლისელებზე. გამორიცხული არ არის, რომ ტექნიკურმა ესპანელმა თავდამსხმელებმა „უემბლიზეც“ შეძლონ მასპინძელთა კარის აღება.

ა. რონდელი.

# ყოველი მხრიდან

### მექსიკა მოითხოვს

მეხიკო-სიტიდან მიიღეს ცნობები, რომ მექსიკის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ფრიად შეშფოთებულია საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში შექმნილი მდგომარეობით. კომიტეტის პრეზიდენტმა პედრო რამირეს ვასკესმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მან და მექსიკის დელეგატმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დეპეშა გაუგზავნეს ე. ბრენდეჯს. ამ დეპეშაში მექსიკელები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ უმოკლეს ვადაში (აპრილის შუა რიცხვებამდე) მოწვეულ იქნას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

ვასკესის აზრით, ამ სხდომამ უნდა განიხილოს აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისა და ევროპის რიგი ქვეყნების პოზიცია, რომელიც მათ უჭირავთ მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის თაობაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უსამართლო გადაწყვეტილების გამო. ვასკესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მექსიკა უარყოფს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას და ყველაფერს იღონებს, რათა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში რასისტებმა მონაწილეობა ვერ მიიღონ.

### რასიზმი იტალიის ფეხბურთის მინდვრებზე

იტალიის ფეხბურთში სკანდალი ატყდა. პრესა იტალიის ფეხბურთელთა კავშირს „დაუფარავ რასიზმს“ სწამებს.

რა მოხდა?

რომისა და გენუის ფეხბურთელთა მატჩის დროს ერთმანეთს შეეჯახნენ იტალიელი დორდონი და ნაყიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი, სახელგანთქმული ჟაირი. დორდონიმ იყვირა: „მოშორდი აქაურობას, ბინძურო ზანგო!“

ჟაირს სურდა შეურაცხმყოფელს მაშინვე სცემოდა, მაგრამ ამხანაგებმა დააკავეს.

ჟაირისა და დორდონის საქმე იტალიის ფეხბურთელთა კავშირის სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა. შედეგად დაადგინეს, რომ დორდონისთვის ერთი შეხვედრით მიეცათ დისკვალიფიკაცია, ჟაირისთვის... ოთხი შეხვედრით. ასეთმა უსამართლო გადაწყვეტილებამ მთელ ქვეყანაში მძაფრი პროტესტი გამოიწვია. გავლენიანი გაზეთი „მესაჯერო“ აქვეყნებს წერილს დამახასიათებელი სათაურით: „ოთხი თამაში ზანგი ჟაირისთვის და მხოლოდ ერთი — თეთრკანიანი დორდონისთვის“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიის საფეხბურთო კავშირის განაჩენი აშკარა გამოხატულებაა იტალიის ფეხბურთის რასისტული პოლიტიკისა.

მეორე გაზეთმა — „კარიერე დელო სპორტმა“ იტალიის საფეხბურთო კავშირის განაჩენს „აღმაშფოთებელი უსამართლობა“ და „რასობრივი დისკრიმინაციის სამარცხვინო ნიმუში“ უწოდა.

### „ემი“ და „მადმუაზელი“

გრენობლის ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში, ავსტრიელმა ემერიჰ დანცერმა გადაწყვიტა თავი დაანებოს სამოყვარულო სპორტს და პროფესიონალებში გადავიდეს. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დანცერის მუდმივმა მეტოქემ ვოლფგანგ შვარცმაც. ამ დღეებში გამოჩნდა ცნობა, რომ შვარცს ავსტრიის ყინულის რევიუსთან აქვს მოლაპარაკება. მაშინვე წამოიჭრა კითხვა: სადღა წავიდეს დანცერი? მან ხომ თავად რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ არასოდეს არ გამოვა ყინულის სარბიელზე თავის თანამემამულესთან ერთად, რომელმაც ოქროს ოლიმპიური მედალი წაართვა. ამავე დროს ამერიკის ყინულის რევიუს მენეჯერებმა, სადაც ძალიან ხშირად გადადიან ევროპელი ვარსკვლავები, ამჯერად ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საკუთარ ნიჭიერ ფიგურისტებს იკმარებენ და წლეულს ევროპიდან არავის მიიღებენ.

და აი, ბოლოსდაბოლოს, დანცერის ბედი გაირკვა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ფიგურულ სრიალში გადაწყვიტა ბედი სცადოს... ესტრადის ფიცარნავზე. ემერიჰ დანცერმა ან, როგორც მას ავსტრიელი გულშემატკივრები ეძახდნენ, ემიმ ხელშეკრულება დადო ვენის ფირფიტების დამამზადებელ დიდ ფირმასთან. დანცერმა რამდენიმე მოდური სიმღერა უნდა იმღეროს. პირველი ფირფიტა იქნება ფრივოლური სიმღერა: „მადმუაზელ, ნება მიბოძეთ...“

ფირმის წარმომადგენელმა ამ ხელშეკრულების თაობაზე თქვა: „ჩვენთვის სულაც არაა მნიშვნელოვანი, აქვს თუ არა დანცერს ხმა. მთავარია მისი სახელი, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება და რომლის წყალობითაც გვარიან მოგებას მივიღებთ. მაყურებელს კი ყოველთვის მოსწონს, როცა მოკრივე ცეკვას დაიწყებს, მოციგურავე კი ჯაზურ სიმღერებს მღერის“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა პირველობა. დღეს: „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო). დასაწყისი 18 ს. 40 წ. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). დასაწყისი 20 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 2-8 აპრილი. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატი. დასაწყისი 17 ს.

**მხატვრული ტანვარჯიში.** ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). 2-4 აპრილი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 17 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 4 აპრილი. სსრ კავშირის თასის გათამაშება. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი). დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 07466